სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 42

(გამარტივებული შესყიდვა spv 98390000)

ქ. ფოთი " 06 " " მარტი " 2015 წელი

ერთის მხრივ
ს.ს.ი.პ„საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური" ს/კ 215082764.
მისამართი: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93.
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა" ბანკის კოდი: TRESGE22ა/ა: 707247519
დირექტორი : რევაზ ბაბილუა შემდგომში „შემსყიდველ"–ს
და მეორეს მხრივ,
ს.ს.ი.პ. " საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო" ს/კ 245631632;
მისამართი: ქ. ბათუმი. ე. ნინოშვილის ქ. N 23.
საბანკო რეკვიზიტი: სახელმწიფო ხაზინა" ბანკის კოდი: TRESGE22ა/ა: 707227058;
დირექტორი: მამუკა ახალაძე შემდგომში „მიმწოდებელ"–ს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება")- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3 "შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.4 "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას „შემსყიდველ"–ს გაუწიოს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის" ბალანსზე რიცხული 100 რეგისტრული ტონის ქვემოთ მცურავი საშუალებების მუდმივი / დროებითი რეგისტრაციის სერთიფიკატის მოწმობის გაცემა.

№	მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ფასი	ღირებულება
1	100 რეგისტრული ტონის ქვემოთ მცურავი საშუალებების მუდმივი / დროებითი რეგისტრაციის მოწმობის (სერთიფიკატის) გაცემა. (მცურავი საშუალება კაბრიო)	ერთეული	1	20.00	20.00
2	100 რეგისტრული ტონის ქვემოთ მცურავი საშუალებების მუდმივი / დროებითი რეგისტრაციის მოწმობის (სერთიფიკატის) გაცემა. (მცურავი საშუალება პროგრესი 4 M ი)	ერთეული	1	20.00	20.00

3	100 რეგისტრული ტონის ქვემოთ მცურავი საშუალებების მუდმივი / დროებითი რეგისტრაციის მოწმობის (სერთიფიკატის) გაცემა. (მცურავი საშუალება პროგრესი 2 M)	ერთეული	1	20.00	20.00
	სულ:				60.00

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 60.00 (სამოცი ლარი 00 თეთრი) ლარს .
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4 მომსახურების მოწოდების ვადები

4.1 შესყიდული მომსახურების მოწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მოწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ, 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. ერთჯერადად უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში ლარში მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სანავიგაციო ნიშნების ტექნიკური მომსახურებისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი თენგიზ ბახბავა;
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი მომსახურება

7 მხარეების პასუხისმგებლობა

7.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი

პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
7.2 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 % პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება .
7.3 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს – მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შეუსრულებლობა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანგციების გამოყენებას.

8 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლი 29 აპრილის ჩათვლით

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია.
9.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მესამე პირს.

" შემსყიდველი "	" მიმწოდებელი "
საქართველოს სახელმწიფო	ს.ს.ი.პ. „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“
ჰიდროგრაფიული სამსახურის	დირექტორი
დირექტორი: რ. ბაბილუა	მ. ახალაძე